ოქმი N 3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა

კომისიის სხდომის

ქ. ხობი 2018 წლის 27 თებერვალი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. როლანდ სერგია
8. გოჩა სიჭინავა
9. კონსტანტინე ნასარაია
10. მერაბ ნადარია
11. კახა ლატარია
12. დავით ცინაძე
13. რამინ ხილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის კ. გულედანის 2018 წლის 7 თებერვლის N01/382 წერილის და ხობის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ვ. ქანთარიას 2018 წლის 21 თებერვლის N26/01 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 19 თებერვლის N05/765 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

• „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;

• „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 თებერვლის N05/856 წერილის განხილვა:

•

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;

•

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

•

„ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 თებერვლის N06/873 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 26 თებერვლის N04/883 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში რკინიგზის გადასასვლელებთან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის კ. გულედანის 2018 წლის 7 თებერვლის N01/382 წერილის და ხობის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ვ. ქანთარიას 2018 წლის 21 თებერვლის N26/01 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილი, რომელიც შეეხებოდა ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭებას. საკითხი განხილული იყო საკრებულოს შესაბამისი კომისიის მიერ და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეორგაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად, საკრებულოს განკარგულებასთან „ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაოაბზე", მოსახლეობის გამოკითხვისა და საჯარო გამოკითხვის შედეგებისა და კომისიის დასკვნასთან ერთად საჭირო მასალები გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრისხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიას. კომისიის დასკვნაში განმარტებული იყო, რომ გოგი მამფორია თამაშობდა ფეხბურთს ხობის „კოლხეთში" და თავისი ოსტატობით გულშემატკივართა დიდ მოწონებასა და სიყვარულს იმსახურებდა. იგი ათეულობით წლების მანძილზე მუშაობდა ხეთის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, იყო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. გოგი მამფორია გარდაიცვალა 1993 წელს, ადგილობრივი მოსახლეობა მისი სახელის უკვდავსაყოფად ითხოვს სტადიონისთვის მისი სახელის მინიჭებას. აღნიშნული საკითხი გადაეგზავნა სამთავრობო კომისიას. საკითხი განხილული იქნა სამთავრობო შესაბამის კომისიაზე და საკრებულოს გადმოეგზავნა ამონაწერი გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმიდან, რომლითაც თანხმობა მიეცა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალურ სტადიონს მიენიჭოს გიორგი (გოგი) მამფორიას სახელი.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ აღნიშნული განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.
მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 19 თებერვლის N05/765 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო:

1) განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ", ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გარკვეული ნაწილი მდებარე ქ. ხობში, ცოტნე დადიანის ქ. N188-ში, მუნიციპალიტეტის 2013 წლის 26 აგვისტოს N48 და 2015 წლის 29 მაისის N26 განკარგულების საფუძველზე სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით გადაცემული ჰქონდათ ფიზიკურ პირებს 2020 წლამდე. გამომდინარე იქედან, რომ მთლიანად შენობა არის ამორტიზებული და საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, რისი შესაძლებლობა ადგილობრივ ბიუჯეტს არ გააჩნია. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქონების გასხვისება და საპრივატიზებო ნუსხაში შეტანა. ამ ფაქტიდან გამომდინარე მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ". რომლის საფუძველზეც მერიის მიერ განხორციელდება საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი საკითხი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

2) მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში იანვრის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ", აღნიშნული შენობა მდებარეობს, ქალაქი ხობი სტალინის N6-ში. საკითხი შესწავლილი იქნა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2018 წლის იანვრის საკრებულოს სხდომაზე და პროექტის კორექტირებისა და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონების საბალანსო ღირებულების დაზუსტების მიზნით, საკითხი დაუბრუნდა მუნიციპალიტეტის მერიას. კომისიისთვის ცნობილი იყო, რომ 2017 წელს აღნიშნულ შენობას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები და კომისია დაინტერესდა ცვილდა თუ არა აღნიშნული სამუშაოების ჩატარება შენობის საბალანსო ღირებულებას. საკრებულოდან მიღებული წერილის შესაბამისად, მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელდა ქონების აუდიტორული შეფასება და მისი საბალანსო ღირებულება განისაზღვრა 94000 ლარით, ნაცვლად 32900 ლარისა, საიდანაც 75000 ლარი შენობა ნაგებობის ღირებულებაა, ხოლო 19000 ლარის მიწის. მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთ აღნიშნული შენობის 100 კვ. მეტრი ფართი პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეს ტენდერში გამარჯვებულ იურიდიულ პირს, რომელიც უზრუნველყოფს უმწეო მდგომარეობაში მყოფი კატეგორიის პირების უფასო კვებით მომსახურეობას. ხოლო საიჯარო ქირა განისაზღვრა 186 ლარით, ინვენტარის ქირა 84 ლარით, სულ საიჯარო ქირა განისაზღვრა 270 ლარით.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი საკითხი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

3. მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტი. საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12,38 ლარს, სოფლებში 3,71 ლარს, დასახლებათა შორის არეალში 3,1 ლარს, ხოლო დასახლებათა შორის არეალში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) 6,19 ლარს. ამავე დროს ძალადაკარგულად ცხადდება „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილება.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი საკითხი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

4) მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მიუხედავად იმისა, რომ ძალადაკარგულად ცხადდება „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 თებერვალს N141 დადგენილება, არსებითად დადგენილებაში არაფერი არ იცვლება, გარდა დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის N2 დანართისა, სადაც დაწესებულებებისთვის, ორგანიზაციებისა იურიდიული პირებისთვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობით განსაზღვრის ცხრილში, ნარჩენების დაგროვების ნორმაში შედის ცვლილებები. მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტზე თანდართული დანართები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ პროექტი მომზადებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის სამართლებრივ საფუძველზე.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით განხილული ოთხივე საკითხი კომისიის დასკვნებთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხები წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 თებერვლის N05/856 წერილის განხილვა
   - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;
   - „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი;
   - ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო:

1) განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის ე. კვიკვინიას წერილი, იმის თაობაზე, რომ გაერთიანებაში განხორციელებული ოპტიმიზაციის საფუძველზე განხორციელდა ქ. ხობის N3 საბავშვო ბაღის გაუქმება და ითხოვდა საბავშვო ბაღისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების დაბრუნებას, რადგან აღნიშნული ქონება არ წარმოადგენდა გაერთიანებისთვის საჭიროებას. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბერს N54 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", რომლითაც გაერთიანებისთვის გადაცემული ქონების ამოღება ხორციელდება.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

2) მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N58 განკარგულებით „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების, მდებარე ხობი ცოტნე დადიანის ქ. N188 გასხვისების შესახებ.

თანხმობის პროექტს თან ერთვოდა აუდიტორული დასკვნა, რომლის საფუძველზეც ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელიც აშენებულია 1945 წელს ამორტიზებულია და შენობა ფაქტობრივად გამოყენებისთვის უვარგისია. შენობის განახლება-რემონტი საკმაოდ დიდი თანხებთანაა დაკავშირებული და მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული შენობის პრივატიზება და წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ". სამართლებრივი საფუძველი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი. განკარგულების პროექტს თან ახლავს დანართი, სადაც მოცემულია საპრივატიზებო შენობის მონაცემები. შენობის მთლიანი ღირებულება აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 117600 ლარს. მათ შორის: პირველი სართულის 36000 ლარს, მეორე სართული 33000 ლარს, შენობის ქვეშ არსებული მიწა - 48600 ლარს.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

3) მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ" დადგენილების პროექტი, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების როგორც პრივატიზება, ასევე სარგებლობის უფლებით გადაცემა, აუქციონის წესით. ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში ქონების კანონშესაბამისად გასხვისების თუ სარგებლობის უფლებით გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ დადგენილების პროექტის მომზადების სამართლებრივი საფუძველია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით განხილული სამივე საკითხი კომისიის დასკვნებთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხები წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 თებერვლის N06/873 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N84 განკარგულებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებისა და გეგმის კორექტირების მიზნით მერიის სამუშაო ჯგუფის მიერ საბოლოოდ, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლის გეგმა. სამართლებრივი საფუძვლები: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი". სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 26 თებერვლის N04/883 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში რკინიგზის გადასასვლელებთან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში რკინიგზის გადასასვლელებთან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ". მისი განმარტებით საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის 2017 წლის 28 ივლისის N4375 და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2017 წლის 22 დეკემბრის N2-14/14906 წერილების შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტო და სარკინიზო ტრანსპორტის უსაფრთხო

გადაადგილების მიზნით ხორციელდება რკინიგზის გადასასვლელთან საგზაო ნიშნების განთავსება. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 23 ოქტომბრის N32144 სამართლებრივი დასკვნის თანახმად, მიზანშეწონილად ჩაითვალა საგზაო ნიშნების განთავსება განხორციელდეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის განკარგულების საფუძველზე, რომლითაც ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ხორციელდება შემდეგი საგზაო ნიშნების განთავსება: ა) შუა ქვალონისა და ქვემო ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „უშლაგბაუმო გადასასვლელი" (N1.2-1 ცალი); ბ) ქვემო ქვალონსა და შუა ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი რკინიგზის გადასასვლელთან „მიახლოების ნიშანი" (N1.4.1.-1 ცალი); გ) ნოჯიხევის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „უშლაგბაუმო გადასასვლელი" (N1.2-2 ცალი). სამართლებრივი საფუძველი: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი და „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონი.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიიჩნიერს მისი გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია